ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №81

ქ. თბილისი

22 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აპარატის უფროსის რევაზ გერგედავას სახით და მეორე მხრივ, შპს „საოჯახო სახლი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი მენეჯერის მაია ენუქიძის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) "ავეჯის აქსესუარები"-ს (CPV კოდი: 39200000) შესყიდვა ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის $ს^1$ ქვეპუნქტის საფუძველზე).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 196.55 (ას ოთხმოდათექვსმეტი ლარი და ორმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს.

2.2 შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს იხილეთ დანართი N1.

2.3 შესასყიდი საქონლის რაოდენობა იხილეთ დანართი N1.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას #16.

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი: ჯ. ლეთოდიანი, ზ. გახარია, ა.გუნჯუა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 მიწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისამებრ განახორციელოს საქონლის მიწოდება. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	შპს „საოჯახო სახლი“
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #16	მის: ქ.თბილისი, დოლიძის N11
საიდენტიფიკაციო კოდი 249250484	საიდენტიფიკაციო კოდი 404873106
სახელმწიფო ხაზინა	სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ა/ა № GE56BG0000000902132200
ტელ: 2374416	,ტელ: 571333863
---------- ანატოლი უფრიფსკ	---------- მენეჯერი მაია ენუქიძე

ხელშეკრულების დანართი №1

№	CPV-კოდი	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	39221121	ჩაის ჭიქა ლამბაქით 160 მლ	6	7.2	43.2
2	39221121	ჩაის ჭიქა ლამბაქით	4	8.5	34
3	39223100	კოვზი ფაიფურის 11.5 სმ.	1	1.1	1.1
4	39223200	პატარა ჩანგალი გერმანული 6ც (ნახატით)	2	8	16
5	39223100	ჩაის კოვზი გერმანული 6ც. (ნახატ)	2	8	16
6	39221123	ვისკის ჭიქა 6ც	2	11	22
7	39221123	ცეცხლგა. ჭიქა 035ლ. 2ც.	0.5	6.5	3.25
8	39221240	საშაქრე	1	12	12
9	39221150	ლანგარი 37 სმ.	1	27.5	27.5
10	39221200	ჩაიდანი 900 მლ.	1	21.5	21.5
		ჯ ა მ ი			**196.55**

შემსყიდველი

აფხაზეთის უმაღლესი საბჭ
აპარატის
უფროსი

რ. გერგედავა

მიმწოდებელი

შპს „საოჯახო სახლი"-ს მენეჯერი:

მ. ენუქიძე